სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

LEPL GEORGIAN STATE TEACHING UNIVERSITY OF PHYSICAL EDUCATION AND SPORT

21.09.2020 01-73

ბრძანება

„საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ“

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის, 35-ე მუხლის 1-2-3-4-5 პუნქტების, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2013 წლის 15 ოქტომბრის №01/745 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ- საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების 25-ე მუხლის 1-2-4 პუნქტებისა და 26-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

2020 წლის 22 სექტემბერს გამოცხადდეს ღია კონკურსი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად მწვრთნელთა ფაკულტეტებზე შემდეგ სპეციალობებში:

1. **სპორტის მასობრივი სახეების კათედრა** (მძლეოსნობა, ტანვარჯიში, სპორტის საწყალოსნო სახეები).

- **საერთო ფიზიკური მომზადება-** ასისტენტს პროფესორის - 1 (ერთი) საშტატო ერთეული;
- **ტანვარჯიშის თეორია და მეთოდიკა** - ასისტენტს პროფესორის - 3 (სამი) საშტატო ერთეული;
- **მძლეოსნობის თეორია და მეთოდიკა** - ასისტენტს პროფესორის - 1 (ერთი) საშტატო ერთეული;

0162. ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. № 49 ტელ.: +995 32 2250040
49 Chavchavadze Ave. 0162 Tbilisi, Georgia Tel: +995 32 2250040
www.sportuni.edu.ge

2.**სპორტთამაშების კათედრა.** (ფეხბურთი, ჩოგბურთი, ხელბურთი, რაგბი, კალათბურთი, ფრენბურთი, ჭადრაკი, მაგიდის ჩოგბურთი და მოძრავი თამაშები)

- **ხელბურთის თეორია და მეთოდიკა** - ასისტენტს პროფესორის - 1 (ერთი) საშტატო ერთეული;
- **ფეხბურთის თეორია და მეთოდიკა** - ასისტენტ როფესორი - 1 (ერთი) საშტატო ერთეული;
- **მაგიდის ჩოგბურთის თეორია და მეთოდიკა** - ასისტენტ როფესორი- 1 (ერთი) საშტატო ერთეული;
- **ჩოგბურთის თეორია და მეთოდიკა** - ასისტენტ როფესორი- 1 (ერთი) საშტატო ერთეული;
- **მოძრავი თამაშების თეორია და მეთოდიკა** - ასისტენტ როფესორი- 1 (ერთი) საშტატო ერთეული;

3. **სპორტის გამოყენებითი სახეების და ორთაბრძოლების კათედრა** (ჭიდაობა, ძიუდო, ძალოსნობა, კრივი, აღმოსავლური ორთაბრძოლები, ტყვიის სროლა, ფარიკაობა).
   - **ფარიკაობის თეორია და მეთოდიკა** - ასისტენტ- პროფესორი -1 (ერთი) საშტატო ერთეული;

საკონკურსო თანამდებობაზე არჩევის წინაპირობები

1. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი 3 წლის ვადით.

- **ასისტენტ პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე** გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის უფლება მიენიჭება იმ პირს, რომელიც დააგროვებს: – **მინიმუმ 80 ქულას,** სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 28 თებერვლის 01-27 ბრძანებით დამტკიცებული **„საკონკურსო კრიტერიუმები აკადემიური პერსონალისათვის“** შესაბამისად:

კონკურსში მონაწილე კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

- განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე კონკურსში მონაწილეობის მიღების თაობაზე;
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- CV ;
- დიპლომის ასლი;

- სამეცნიერო ხარისხის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის დედანი, სათანადოდ დამოწმებულ ასლთან ერთად;
- ორი ფოტოსურათი 3X4;
- სასწავლო კურსის/კურსების სილაბუსი,რომლის წაყვანასაც გეგმავს კონკურსანტი სასწავლო უნივერსიტეტში, როგორც ნაბეჭდი ისე ელექტრონული ვერსია (ელექტრონული ვერსია შესაძლებელია წარმოდგენილი იქნას დისკით ან გამოგზავნილი იქნას უნივერსიტეტის ელექტრონულ მისამართზე **sportuni.edu.ge**);
- ბოლო 5 წელიწადში განხორციელებული კვლევითი სამუშაოების ანოტაცია და გამოქვეყნებული შრომების ნუსხა;
- სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

საბუთების მიღება შესაბამის ფაკულტეტის დეკანატში დაიწყოს გამოცხადებიდან ერთი თვის შემდეგ, 2020 წლის 22 ოქტომბრიდან 2020 წლის 6 ნოემბრის ჩათვლით, ყოველ დღე 10:00-დან 15:00 საათამდე.

საბუთების განხილვა მოხდეს 2020 წლის 9-ნოემბრიდან 2020 წლის 17ნოემბრის ჩათვლით.

კონკურსის შედეგები გამოქვეყნდეს 2020 წლის 18 ნოემბერს შესაბამისი საკონკურსო კომისიის საინფორმაციო დაფასა და უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.Sportuni.edu.ge

კონკურსში გამარჯვებულ პირებთან შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდეს 2020 წლის 1 დეკემბრიდან.

კონკურსი ტარდება სწავლების პირველ და მეორე საფეხურებზე (საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები)

კონკურსანტს უფლება აქვს კონკურსის შედეგების გამოქვეყნებიდან 2 დღის განმავლობაში შეიტანოს განცხადება/საჩივარი საკონკურსო კომისიაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ საჩივარი არ მიიღება.

კონკურსის ჩატარების დებულება და აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი იხილეთ ვებგვერდზე (www.Sportuni.edu.ge).

საკონტაქტო ტელეფონი : 225 00 40

რექტორი,
პროფესორი

ჯემალ ძაგანია